გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 19
(11 781)

9 – 11 მარტი, 2004 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:


• რაგბი გვიბრუნდება

• ქიზიყელი კამბეჩუა



• სათასო მატჩები

• ვეტერანები – იური კურტანიძე

• ტრაგედია სალვადორში



• მარათონში გამარჯვებული 49 წლისაა

• საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




## ქალთა დღეს მიეძღვნა...

კვირას, ჭადრაკის სასახლეში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და განათლების განყოფილების ხელშეწყობით, ჩატარდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ბლიც-ტურნირი, რომელშიც 34 მოჭადრაკე ქალი ასპარეზობდა. მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, აგრეთვე ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე და საქართველოს სხვა წამყვანი მოჭადრაკეები. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. დებულების მიხედვით, თითოეულ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად ხუთი წუთი ეძლეოდა. პირველი ადგილი 7,5 ქულით ნინო ხურციძემ დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ნანა ძაგნიძე. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს მაია ლომინეიშვილმა და სოფიკო ტერელაძემ. კოეფიციენტის მიხედვით მესამე ადგილი ლომინეიშვილს მიეკუთვნა. ტურნირის ყველა მონაწილე სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს, გამარჯვებულსა და პრიზიორებს ფულადი პრემიებიც გადაეცათ.

## „ნონას თასზე“

გასულ უქმეებზე „ნონას თასის“ მომდევნო ეტაპი ჩატარდა. დებულების მიხედვით, მონაწილეებს ფიქრისათვის 15-15 წუთი ჰქონდათ, გამარჯვებული და პრიზიორები კი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურის შედეგების მიხედვით უნდა გამოვლენილიყო.

7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა დავით არუთინიანი, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა ლევან ფანცულაია. 6,5-6,5 ქულა დააგროვეს დავით მალალაშვილმა და დავით ზარქუამ, თუმცა, უკეთესი კოეფიციენტი მალალაშვილს აღმოაჩნდა და მესამე ადგილიც მას მიეკუთვნა.

გამარჯვებული და პრიზიორები მედლებით და ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს.

## ჩვენები ელიტაში

საქართველოს მოციგურავეები, სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ელიტაში ნელ-ნელა იმკვიდრებენ ადგილს. როგორც ადრე ვწერდით, ჩვენ უკვე



მარინა შელცინა და ოთარ ჯაფარიძე

გვყავს მოცეკვავეთა წყვილი მარინა შელცინა და ოთარ ჯაფარიძე, რომლებმაც უკვე მოსინჯეს ძალები საერთაშორისო სარბიელზე. ამჯერად ჩვენი დუეტი მონაწილეობდა ჰააგაში გამართულ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში. საქართველოს წყვილმა საბოლოოდ 21-ე ადგილი დაიკავა, რაც, ცხადია, საამაყო არ არის, მაგრამ დებიუტანტების კვალობაზე, სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ამავე ჩემპიონატში ინდივიდუალურ პროგრამაში ასპარეზობდა 14 წლის თეონა გედევანიშვილი, რომელსაც სპეციალისტები, როგორც ადრე ვწერდით, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თეონამ, ისევე, როგორც ჩვენმა დუეტმა, შეჯიბრება „ბ“ ჯგუფით დაიწყო და საბოლოოდ ჩემპიონატი არცთუ ურიგო შედეგით, მე-11 ადგილზე გამოსვლით დაასრულა.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## მესამის ფინიში, მეოთხის – სტარტი!

რუსთაველთა გუნდს და თბილისის „მაკაბს“ გათამაშების ცხრილში მეტწილად გვერდიგვერდ ვხედავთ, ვიდრე ერთმანეთისგან საფეხურებით დაშორებულს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გუნდები თანაბარი ძალისანი არიან და კლასით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან? ამ კითხვაზე ალბათ ბევრს განსხვავებული პასუხი ექნება, მაგრამ უთუოდ დაგვეთანხმებიან იმაში, რომ ამ ორი გუნდის თამაში უინტერესო იშვიათად თუ ვინმეს უნახავს. გუშინწინდელი მატჩიც არ იყო გამონაკლისი, მით უფრო, რომ ეს იყო მესამე წრის ბოლო შეხვედრა. მოტივაცია უკეთ მასპინძლებმა გამოიყენეს. თავიდანვე კარგად წაუვიდათ თამაში და პირველი პერიოდი 18:12 დასრულდა მათ სასარგებლოდ. მეორე მეოთხედშიც შეინარჩუნა „რუსთავმა“ უპირატესობა (28:23), მაგრამ შემდეგ ოდნავ მოეშვა, რაც, ალბათ, ზედმეტი თავდაჯერების შედეგი უფრო იყო და მესამე მეოთხედი დათმეს — 18:20. სამაგიეროდ, ბოლო მეოთხედში კვლავ დადგნენ მოწოდების სიმაღლეზე ოთარ ხმელიძის შეგირდები და მატჩის ფინალური მონაკვეთი მოიგეს 7 ქულის სხვაობით — 21:13. საბოლოოდ კი ტაბლოზე 85:68 დაფიქსირდა. ამრიგად, „რუსთავმა“ მეხუთე ადგილზე განიმტკიცა პოზიცია, „მაკაბიმ“ — მეექვსეზე.

წინა დღეს „ბასკომ“ „სტუ ჯეოსელს“ უმასპინძლა. სპორტში მეტოქეთა მოტივაცია კონკრეტულ მატჩში სხვადასხვანაირია. ბათუმში გამართულ ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მასპინძლებისთვის — გამარჯვებით პირველობას ინაღდებენ. ტექნიკოსებს კი, თუკი წარმატებას მიაღწევდნენ, მინიმუმ მეორე ადგილი ჰქონდათ გარანტირებული, მაგრამ თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ბათუმელები თავიანთ შანსს არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ გაუშვებდნენ. შავიზღვისპირელებმა ამ განზრახვის რეალიზება მატჩის სასტარტო წუთებიდანვე დაიწყეს და კარგა ხანს თრგუნავდნენ მეტოქეს გააზრებული, ქინიანი თამაშით. პირველი სამი პერიოდი მოიგეს მასპინძლებმა — 22:13, 15:11, 24:22. როგორც ხედავთ, საგანგაშო სიმპტომი მესამე მეოთხედში გამოჩნდა, როცა სტუმრებმა მხოლოდ ორი ქულით დათმეს თამაში და ბოლო პერიოდში, ძალთა მობილიზებით, სულაც ხუთი ქულით გაიმარჯვეს — 17:23, თუმცა, ქულათა სხვაობა იმდენად დიდი იყო ბათუმელთა სასარგებლოდ, საბოლოო შედეგზე, მეტოქის ამ გაელვებას გავლენა არ მოუხდენია — 78:57.

თსუ — სსუ-ს შეხვედრას, ალბათ, ფორმალური ხასიათი უფრო ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, თბილისელ სტუდენტებს არ გასჭირვებიათ სოხუმელი კოლეგების ძლევა (25:22, 23:8, 20:16, 23:8) — 91:54.

**ირაკლი სარალიძე**

**ჩემპიონატის ცხრილი და მომავალი მატჩების კალენდარი იხილეთ მეორე გვერდზე**

## გიორგი კანდელაკი კიდევ 2-3 ლიცენზიას გვპირდება

საქართველოს მოკრივეთა ამქარში, როგორც ადრე ვწერდით, უკვე გამოჩნდა ორი რჩეული — ორი ლიცენზიანტი — **ნიკოლოზ იზორია** (51 კგ) და **კოტე კუპატაძე** (57), რომლებსაც უკვე გარანტირებული აქვთ ათენში ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა. პრესკონფერენციაზე, რომელიც სპორტის დეპარტამენტში ევროპის ჩემპიონატში მიღწეულ ამ წარმატებას მიეძღვნა, ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ წინ კიდევაა სალიცენზიო ტურნირები და იმედი აქვს 2-3 საოლიმპიადო საგზურს კიდევ მოიპოვებენ ჩვენი მოკრივეები. ავადმყოფობის გამო ლიცენზიისთვის ბრძოლას გამოეთიშა **ვლადიმერ ჭანტურია**, რომელსაც შემდეგ ტურნირებში **გაგა ბოლქვაძე** (ქუთაისი) შეცვლის.

ბევრს აინტერესებს თუ როგორი შედეგებით ასპარეზობს საქართველოს ნაკრებში ცხინვალელი **დიმიტრი ფუხაევი**. ამჯერად დიმიტრის მნიშვნელოვანი შედეგისთვის არ მიუღწევია, მაგრამ, როგორც გ. კანდელაკმა განაცხადა, „მომავალ ტურნირებში გაცილებით უკეთ გამოვა“.

## სიზმარეული მოვლენები ქართულ ფეხბურთში

ბოლო ხანებში ქართულ ფეხბურთში მომხდარი ამბები უპრეცედენტოა ჩვენში სპორტის ამ სახეობის ისტორიაში. ერთბაშად იმდენი მოვლენის მოწმე გავხდით, ათწლეულებს რომ არ ახსოვს. ცხადია, თამამი მოქმედებები თვით ცხოვრებამ მოიტანა, მაგრამ მთავარი ისაა, თუ რამდენად წაადგება საქმეს ასეთი სითამამე.

სფფ-ს პრეზიდენტის დაკავება რომ ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო არ იქნებოდა, ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ეს ინტერესი ქვეყნის ახალმა პოლიტიკამ დაჩრდილა, ამიტომ ქართული ფეხბურთიც იძულებული გახდა, ადრე მოსაგვარებელი საკითხები, მათ შორის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებით, გარკვეული დროით გადაედო და მოთმინებით დალოდებოდა მოვლენების განვითარებას. თვენახევარში ლოდინიც დასრულდა. თავისუფლებაზე გამოსული სფფ-ს პრეზიდენტი კვლავ აქტიურად ჩაერთო თავის საქმეებში და, როგორც ჩანს, იმ თვენახევარში იმდენად კარგად გაიაზრა მომავლის გეგმები, საჭიროდ ჩათვალა ფედერაციის სრული გადახალისება. ზოგი ფიქრობს, რომ მერაბ ჟორდანიამ ამით დაასწრო იმ არაკეთილისმსურველებს, რომლებიც მარტის დასაწყისში ფედერაციის შტაბ-ბინის წინ „კმარასეულ“ თუ „კმარას“ აქციის ჩატარებას გეგმავდნენ. ეს მუქარა ფეხბურთის სამმა გულშემატკივარმა გააჟღერა პრესაში და რომ ეგონათ, 1 მარტს ფედერაციის წინ ზღვა ხალხი მოიყრიდა თავს, რათა „პასუხი მოეთხოვათ“ ქართული ფეხბურთის ჩავარდნისათვის, იმ სამი „პატრიოტის“ გარდა, ფედერაციასთან დათქმულ დღეს, 1 მარტს, არავინ გამოჩენილა.

ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხი ხომ პირდაპირ თავსატეხად იქცა. აგერ, რომ გვეგონა კანდიდატთაგან ხელდადებით შერჩეული მიშელი, ეს-ესაა ხელშეკრულებას გააფორმებდა და ნაკრებს კვიპროსზე შეუერთდებოდა, არ გამართლდა. თუ რატომ, ეს, ალბათ, ძალიან ვიწრო წრემ იცის. ჟირესის კანდიდატურის დღის წესრიგში წამოწევა კი უკვე ჩვეულებრივ ამბად აღიქვა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. მეტიც, შთაბეჭდილებაც შეიქმნა, თითქოს, ბევრს ალარც კი იზიდავდა ეს თემა, ანუ სულ ერთი იყო ვის ჩაუყენებდნენ სათავეში ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს. მწვრთნელის დანიშვნის მოლოდინს კი დასასრული არა და არ უჩანს. ახლა, როგორც გაცხადდა, საბოლოო შეთანხმება პარიზში მოხდება. კვიპროსზეც ხომ იგეგმებოდა მიშელთან შეთანხმება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ისიც ხომ გვეწვია თბილისში ამ წლის პირველ დღეებში. მოკლედ, თბილისში ჩამოდიან და მიდიან, ხელშეკრულება კი აქ არ ფორმდება. გვესმის, რომ ყველაფერი კარგად უნდა აიწონის, მაგრამ გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ჟირესის აკვიატება, რომ თბილისში განსჯილი თავის იურისტებთან უნდა შეათანხმოს პარიზში. პირობები ხომ მანამდეც ცნობილი იყო. ანდა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის დღევანდელ დახვეწილ პირობებში რა გახდა ამ შეთანხმების შეთანხმება, თუმცა, ახლოს მდგომმა უკეთ იცის.

და მაინც, ისევ მოლოდინი!

უპრეცედენტოა სფფ-დან გენერალური მდივნის თითქოს უხმაუროდ, მაგრამ შინაარსით მაინც დემარშით წასვლა. ვალერი ჩოლარიამ, გვითქვია და ვიტყვით, უთუოდ დაატყო სასიკეთო კვალი ფედერაციას, ორგანიზებულად წელში გამართა იგი და აუმაღლა ავტორიტეტი. ჟორდანიას საიმედო დასაყრდენი ჰყავდა საშინაო და, სხვათა შორის, რამდენადაც ვიცით, საგარეო საქმეებშიც. სფფ ახლა გენსეკის ძიებაშიცაა, საერთო რეორგანიზაციის მოლოდინშიც.

ასე რომ, ისევ მოლოდინი!

აი, პროფესიული ლიგის შექმნის ეფექტურობაში დარწმუნებას უკვე ლოდინი აღარ სჭირდება. ქართულ ფეხბურთში მოვიდა ახალი ძალა, მიდგამოდგა და თავი, უპირველესად, საქმით დაიმკვიდრა. სიმართლე რომ ითქვას, ასე ჩქარა, არც არავინ მოელოდა მისგან ასეთ შთამბეჭდავ და სოლიდურ ნაბიჯებს. ლიგის მიერ გაწეული საქმიანობით და მომავლის გეგმებით კმაყოფილი დარჩა კულტურისა და სპორტის ახალშექმნილი სამინისტროს თავკაცი გიორგი გაბაშვილი.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთში ახალი ხანა დგება. ვისურვოთ, რომ რაც მოხდა და რაც ხდება, სიზმარს არ დაემსგავსოს.

**მიმომხილველი**



## „ბორჯღალოსნებმა“ „დათვები“ დააფრთხეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა როგორც იქნა პირველი გამარჯვება მოიპოვა ევროპის ერთა თასის მიმდინარე გათამაშებაში. არადა, წარუმატებელი სტარტის შემდეგ ბევრს ეეჭვებოდა, „ბორჯღალოსანთა“ გამარჯვება რუსეთის ნაკრებთან. რუსებს კარგად ახსოვთ ქართველებისგან შარშანდელი სიმწარე. როცა მათ სწორედ თბილისურ მატჩში დამარცხების შედეგად ვერ შეძლეს მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება. რუსი მორაგბეები გამარჯვების სურვილით გამოვიდნენ „ლოკომოტივის“ მოედანზე. თუმცა უამრავი შეცდომა დაუშვეს და ამის გამო დამარცხდნენ კიდეც.

მატჩში ერთი ლელოც არ გასულა. მხოლოდ ზუსტად შესრულებული ერთი არეკნი და სამი საჯარიმო დაფიქსირდა. ანგარიში ჯიმშელაძემ არეკნით გახსნა 24-ე წუთზე. ლაღად მოთამაშე ბორჯღალოსნებს ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ლაბაძემ ვერ მოასწრო ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი ზიბზიბაძისათვის ბურთის მიწოდება. პირველ ტაიმში ისევ ჯიმშელაძემ გაიტანა ერთი საჯარიმო, ხოლო კიდევ ორი საჯარიმო გააცუდეს ბორჯღალოსნებმა. შესვენების შემდეგ რაჩკოვმა ერთი საჯარიმო გამოიყენა. ამის შემდეგ რუსებმა კიდევ უფრო მოუხშირეს შეცდომების დაშვებას, რითაც ვერ ისარგებლეს ქართველებმა, რომლებმაც ლელოს გატანის რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. საბოლოო წერტილი მატჩს ბარკალაიას მიერ ზუსტად შესრულებულმა ჯარიმამ დაუსვა — 9:3. გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას.

**საქართველო:** ბარკალაია, ხამაშურიძე (გუგავა, 12), ზიბზიბაძე (ფირფილაშვილი, 75), ურჯუკაშვილი (კვირიკაშვილი, 77), ანდღულაძე, ჯიმშელაძე, სამხარაძე, მთიულიშვილი (ხინჩაგაშვილი, 82), დადუნაშვილი, სუჯაშვილი, ზედგინიძე, დიდებულიძე (ყურუშაძე, 78), ი. მაისურაძე, ლაბაძე, ბოლაშვილი (გორგოძე, 68).

**რუსეთი:** რაჩკოვი, სიმონოვი, რეჩნევი, აკულოვი, კუზინი, კორობეინიკოვი, იანუშკინი (შაკიროვი, 47), ხროკინი (პრიშჩეპენკო, 77), კორშუნოვი (რომაკი, 63), შუკაილოვი, ფედჩენკო, სერგეევი, დიატლოვი (სარჩევი, 47), გრაჩოვი, ზიკოვი (შელეპკოვი, 63).

**გაიმართა** ევროპის ერთა თასის გათამაშების კიდევ ორი შეხვედრა. რუმინეთის ნაკრებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 50:10, ხოლო პორტუგალიელებმა სტუმრად მოუგეს ჩეხ მორაგბეებს.

მომდევნო ტურში, 20 მარტს „ბორჯღალოსნები“ ჩეხეთის ნაკრებს უმასპინძლებენ, რუსები — რუმინელებს, ესპანელები — პორტუგალიელებს.

ამ მოგებით საქართველოს ნაკრებს სამი ქულა გაუხდა. მომდევნო მატჩი 20 მარტს თბილისში გაიმართება. ჩვენი „ბორჯღალოსნები“ ჩეხეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. რუსები ამ დღეს რუმინელებს ეთამაშებიან, ესპანელები — პორტუგალიელებს.

**27 მარტი:** რუმინეთი — საქართველო, პორტუგალია — რუსეთი, ჩეხეთი — ესპანეთი. **12 ივნისი.** რუსეთი — ჩეხეთი.

**ექვსი ერის თასი:** იტალია — შოტლანდია 20-14, ინგლისი — ირლანდია 13-19, უელსი — საფრანგეთი 21-29.

**„ერთა თასი“**

რუმინეთი — 6 ქ, პორტუგალია — 4, საქართველო — 3, რუსეთი — 2, ესპანეთი — 1, ჩეხეთი — 0,

**თ. ჩობანიძე, თ. სულაბერიძე.**



ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ქიზიყელი კამბეჩუა

*ქართული სპორტის ისტორიას მრავალი ფალავნის გაბრწყინება ახსოვს. ბევრი მათგანის სახელი ლეგენდად იქცა. მათ შესახებ ამბები კი ტკბილი ზღაპარივით გადაეცემა თაობიდან თაობას. მართალია, საქართველოს დღეს ჰყავს მსოფლიოს, ოლიმპიური თუ ევროპის ჩემპიონები, მაგრამ არც ძველი ფალავნები უნდა დავივიწყოთ, სწორედ ისინი, რომელთა სახელებიც უკავშირდება ქართული სპორტის განვითარებასა და მთელი სისრულით წარმოჩენას იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ ტარდებოდა მასიური ოფიციალური შეჯიბრებები... ძველ თაობას დღესაც ახსოვთ კულა გლდანელის, „მოდი-ნახეს" და სხვათა სახელები. ძველ, სახელგანთქმულ ქართველ ფალავანთა პლეადაში ბრწყინვალე ფიგურას წარმოადგენს ვანო აბულაძე (იგივე აბულაშვილი, რომელსაც ხშირად ქიზიყელად და კამბეჩუად იხსენიებდნენ-ხოლმე).*

ვანო აბულაძემ დიდი აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში, დაუმარცხებია ისეთი სახელგანთქმული მოჭიდავეები, როგორებიც იყვნენ ამერიკელი ჟაკ ლევისი, ჰოლანდიის ჩემპიონი ლაურიხ მეორე, მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი გეორგ ლუნდი, ევროპის ჩემპიონი იან იააგო და სხვები... ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის მიზანია, ძველებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, ხოლო თანამედროვე თაობას გავაცნოთ ძველი პლეადის ქართველი ფალავანი **ვანო აბულაძე.**

## ობოლი ვანო

ვანო აბულაძე დაიბადა 1872 წელს ქიზიყის სოფელ ჯუგაანში. ათი წლისას დედ-მამა დაეხოცა და მშიერ-ლატაკი იძულებული შეიქნა კარიკარ ევლო — ხან გუთნის მეხრე იყო, ხან მეცხვარე. სწავლა-განათლებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. — აბა, ღარიბი გლეხის ბიჭს სკოლაში ვინ მიიღებდა. ამის მიუხედავად, ვანო ბავშვობიდანვე გამჭრიახი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი ყოფილა. განსაკუთრებით ჭიდაობა უყვარდა და არც ერთი ხალხური დღეობა არ ჩაივლიდა ისე, ვანოს გამარჯვება რომ არ მოეპოვებინა. თხუთმეტი წლის ასაკში სოფელში ბადალი არ ჰყავდა ჭიდაობაში. გარდა ამისა, ფანდურსაც შესანიშნავად უკრავდა თურმე.

და მაინც, ვანოს სოფელი არ მოსწონდა: შიმშილი, სიბნელე, სიდუხჭირე, გზირ-მამასახლისთა იერიშები. ასეთი ყოფის ფონზე ვანომ გადაწყვიტა ქალაქში წასულიყო.

## თბილისში

1887 წელს ვანო აბულაძე თბილისში ჩამოსულა და დღიურ შავ მუშად დაუწყია მუშაობა. მოგვიანებით, ღვინის სარდაფში დასდგომია მოჯამაგირედ ვინმე სირაჯ ხელაშვილს. გაჭირვებული ცხოვრების მიუხედავად, ვანოს ჭიდაობისთვის თავი არ დაუნებებია. იმ პერიოდში მდაბიო ხალხი ჭიდაობით ერთობოდა და ვანოც ხშირი სტუმარი იყო უქმე დღეებში მახათას მთაზე, ფიქრის გორაზე, ვერასა თუ ნაძალადევში გამართული შეჯიბრებებისა. ერთხელაც, მეგობრების ხათრით, ვანომაც გაბედა საჭიდაო წრეში შესვლა და... მან სწრაფად გაითქვა სახელი როგორც ძლიერმა, დაუმარცხებელმა ქიზიყელმა.

## ნიკიტინის ცირკი

1900 წელს თბილისს ეწვია ნიკიტინის ცირკი. ცირკის საჭიდაო არენაზე თავი მოიყარეს კავკასიის სახელოვანმა ფალავნებმა, რომლებიც უბრალო მსურველებსაც იწვევდნენ. ვანოს ამხანაგები შეუჩნდნენ — მიდი, გაბედეო. ვანომაც ხათრი არ გაუტეხა მათ და... რამდენიმე მოჭიდავე დაამარცხა. ცირკის პატრონმა თვალები დააჭყიტა, — „ეს ოქრო საიდან ჩავიგდეთ ხელშიო", — ვანოს ამიერკავკასიის ფალავნის სახელი მიანიჭეს და აიყოლიეს, ამიერიდან ნიკიტინის ცირკში ემუშავა.

ერთი კია, ვანოს პრობლემა გაუჩნდა. როცა ერთ-ერთი შეჯიბრების აფიშას აკრავდნენ, ის აბულაძედ მოიხსენიეს. ამაზე ვანომ პროტესტი გამოთქვა, — მისი ნამდვილი გვარი ხომ აბულაშვილია, მაგრამ თხოვნა ყურად არ იღეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა და ვანომაც ხელი ჩაიქნია, მას შემდეგ ვანო აბულაშვილი ვანო აბულაძე „გახდა". საქვეყნოდ სახელი სწორედ ამ გვარით გაითქვა.

ნიკიტინის ცირკთან ერთად, ვანო აბულაძემ ამიერკავკასიის ქალაქები შემოიარა, მიიღო პირველი ხარისხის პრიზი და საჩუქრები. ხშირად მონაწილეობდა კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ჯგუფების ვარჯიშებსა თუ შეჯიბრებებში.



## ლებედევის გაკვეთილები

1906 წელს ვანო ბაქოში გადასახლდა. იქ დაუახლოვდა ჭიდაობის პროფესორად წოდებულ ივ. ვლ. ლებედევს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში შეასწავლა ვანოს ფრანგული, რუსულ-შვეიცარიული, თავისუფალი, ამერიკული, იაპონური, ჩინური და სხვა ჭიდაობის თავისებურებები, ილეთები, აგრეთვე სიმძიმეთა აწევის წესები. სხვათა შორის, ამ საქმეშიც ვანო აბულაძე პირველი ქართველთაგანია. ბაქოში ვანო აგრეთვე მუშაობდა ი.ბ. სტალინთან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ლებედევთან მიღებული გაკვეთილების შემდეგ ვანომ წარმატებით შემოიარა რუსეთის ქალაქები და ყველგან შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვა, მიღებული ჯილდოებით ვანომ გულმკერდი შეიმკო. ხოლო, როცა ჭიდაობის ხერხების ცოდნასთან ერთად დიდი ღონეც წარმოაჩინა, კამბეჩუა შეარქვეს. მალე „რუსეთის უძლეველი ფალავნისა" და „გამოჩენილი ჩემპიონის" ტიტულიც მიიღო.

## მსოფლიო ჩემპიონი

რუსეთში მიღწეული წარმატებების შემდეგ მისი სახელი და ღირსება საზღვარგარეთაც შეიტყვეს და გაიწვიეს კიდეც. ვანო აბულაძემ შემოიარა საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ბელგია, ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, იაპონია, ჩინეთი, ავღანეთი, ირანი, ამერიკა და სხვა ქვეყნები. ყველგან გამარჯვებული გამოვიდა და მსოფლიო ჩემპიონის სახელიც მიიღო.

საზღვარგარეთული პრესა ვანო აბულაძის ფოტოსურათებით იყო აჭრელებული. სხვათა შორის, ვანო აბულაძე ყველგან ქართული ჩოხა-ახალუხით დადიოდა და ყოველთვის შეახსენებდა საკუთარ თავს ამა თუ იმ ტურნირის ორგანიზატორებს, როგორც ქართველ ფალავანს.

აბულაძეს დაუმარცხებია ბევრი სახელოვანი ფალავანი, მათ შორის ამერიკელი ჟაკ ლევისი, ჰოლანდიელი ლაურიხ II, გეორგ ლუნდი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონად მოიხსენიებდნენ, იანგ იანგა, ბუხარის ემირის სასახლის ფალავანი კალინიკინი, პირველი ებრაელი ფალავანი დიკელმანი, საბერძნეთის ჩემპიონი, „ჯაჭვთა მეფედ" წოდებული აპოსტოლუს აპოსტოლუ, რუსი ჩემპიონი პ. ჩერნიშოვი, გოლიათი საცურა, სპარსეთის (ირანი) ფალავანი კარალი, სომეხი შაბლოიანი, ცნობილი რუსი მოჭიდავე ნიკოლოზ ვახტუროვი, მსოფლიოში საუკეთესო ტექნიკოსი რკინის მკლავებიან — ფოლადის მკერდიანად და დაუმარცხებლად წოდებული ვიჰლელვი.



## „ესტ კავკაზკაია ტარანა!"

აღსანიშნავია ვანო აბულაძის შერკინება შორეულ აღმოსავლეთში,' ავსტრიელ, წონით 15 ფუთიან და 15 გირვანქიან ფრანც ბლანდეტსთან, რომელსაც ორთაბრძოლამდე უთქვამს თურმე მაყურებლებისთვის: „კავკაზკომუ ტარანუ სეიჩას პაკაჟუ"-ო. ამ სიტყვებმა კამბეჩუა ისე გააცეცხლა, რომ ავსტრიელ გოლიათს გაშმაგებით ეტაკა და რამდენიმე წამში ძირს გაუშხლართია. შემდეგ კი ხმამაღლა შეუძახია: „ესტ კავკაზკაია ტარანა"-ო. ამ გამარჯვებას დიდი გავლენა მოუხდენია მაყურებლებსა და მსაჯებზე, რომლებმაც გამარჯვებული ფალავანი პირველი პრიზით დააჯილდოვეს. აი, რას წერდნენ ვანო აბულაძის შესახებ იმდროინდელი გაზეთები: „მთელ მსოფლიოში განთქმული უძლეველი მოჭიდავე, ჩემპიონი კავკასიისა, ქიზიყელი, რომელმაც გაიმარჯვა რუსეთის პირველხარისხოვან თორმეტ ჩემპიონატში. მიღებული აქვს პირველი პრიზები — ოქროს მედლები და ვარსკვლავები".

## რამდენიმე ეპიზოდი კამბეჩუას ცხოვრებიდან...

გასტროლების დროს ვანო აბულაძეს ხშირად კურიოზული ამბებიც გადახდენია. სარბინში ერთ იაპონელ 8,5 ფუთის წონის მოჭიდავესთან გაიწვიეს. იაპონელმა ქიზიყელი რომ დაინახა, თქვა: „ეს ბიჭუნა („მალჩუგან") ვინ მოგიყვანიათო". ვანოს არაფერი უთქვამს — სამ წუთში იაპონელი ძირს დასცა. იმავე სარბინში ვანოს მიერ გალახულმა მოჭიდავემ დანილიევმა თავი დამარცხებულად არ სცნო და ვანომ მეორედაც გალახა.

ქალაქ მინსკში ტრუცის ცირკი ძირითადად გამოჩენილ მოჭიდავეთა ჩემპიონატის ჩატარებით ცხოვრობდა. ცირკს ხშირად სტუმრობდნენ ვანო აბულაძე და იოსებ ცერაძე. ერთხელ საზღვარგარეთიდან მინსკში სტუმრად ჩავიდა მსოფლიოში სახელგანთქმული მოჭიდავე კალატინი, რომელმაც ჩემპიონატის მონაწილენი ცირკის არენაზე დააყენა რიგში და თითოზე 500 მანეთი სანაძლეო დადო: ვისაც შეგიძლიათ, გამოდითო. ყველა დაფრთხა ვანო აბულაძის გარდა, რომელმაც შესანიშნავ სტილში სძლია კალატინს და ამ უკანასკნელს ათქმევინა: „შენი სახელი გამიგონია და მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ".

კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი. თურმე ხ. კალინიკინის დამარცხებისათვის ბუხარის სასახლის ემირმა ვანოს ოქროს მედალი პირადად ჩამოჰკიდა, ხოლო სომეხმა შაბლოიანმა ქიზიყელს შესტირა: „რაც ვჭიდაობ, ჯერ არ დავმარცხებულვარ და რად გამაფუჭეო".

## ბენეფისი...

ამ ეტაპზეც ისევ ერთი ძველი გაზეთიდან ამოჭრილ ინფორმაციას დავეყრდნობით.

„ამ დღეებში შედგება ბენეფისი მთელ მსოფლიოში გამოჩენილი ფენომენალური, უძლიერესი ათლეტისა და მოჭიდავის აბულაძე-ქიზიყელისა. ქიზიყელი შეასრულებს უძნელეს ნომრებს: ასწევს გირებსა და სიმძიმეებს, მსხვილი ჩამოსხმული რკინისაგან მაჯაზე დაიგრეხს სამაჯურებს, რომელთაც ხალხს სამახსოვროდ დაურიგებს. ერთი ხელით ასწევს ოთხ მოზრდილ კაცს, რომელთა სიმძიმე 18 ფუთამდე აღწევს. კბილებით მოღუნავს დიუმნახევრიან მრგვალ რკინას. ბატონ ქიზიყელს მკერდზე ორი ჩაქუჩით დაამტვრევენ 35 ფუთიან ქვას. ბატონი ქიზიყელის კისერზე 30 კაცი მოღუნავს ორდიუმიან რკინის კოჭს, დაწოლის სიმძიმე 120 ფუთამდე იქნება. ბატონი ქიზიყელი ლურსმანს ჩაარჭობს ცარიელი ხელით, უჩაქუჩოდ".

საინტერესოა, რომ ზემოთქმული ყველა ნომრის შესრულების შემდეგ ვანო აბულაძე შეება უძლეველად წოდებულ ე.წ. შავნილაბას და დაამარცხა იგი!

## ჭიდაობიდან შამპანურის ქარხნამდე

ვანო აბულაძე ქართული სპორტის განვითარებაზე ზრუნავდა. სწორედ მან დააარსა თბილისში ათლეტიკისა და სპორტის სკოლა, რომელიც მოგვიანებით, კერძოდ — 1923 წელს ხელოვნების მუშაკთა კავშირს გადასცა.

ვანო აბულაძემ ჭიდაობა 30-იანი წლების დასაწყისში მიატოვა. ერთი ხანობა სამტრესტის შამპანურის ქარხანაშიც მუშაობდა და იქ ყოფნის დროს, რამდენიმე რაციონალიზატორული ღონისძიება და გამოგონება წარადგინა. სპორტული დამსახურებისთვის მთავრობამ ვანოს პერსონალური პენსია დაუნიშნა.

ვანო აბულაძე 1948 წელს, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

## 14-ლარიანი პენსიის ანაბარად მიტოვებულნი

ვანო აბულაძის შვილები ქეთევანი და შალვა აბულაძეები დღეს თბილისში, სვანეთის უბანში ცხოვრობენ. სახელოვანი ფალავნის, ოდესღაც მსოფლიო ჩემპიონის შვილებს დღევანდელ ყოფაში ძალიან უჭირთ. პრაქტიკულად, 14 ლარიანი პენსიის იმედად არიან დარჩენილები. ქეთევან აბულაძე მარტოხელაა, ოდესღაც მარტოხელობის დახმარებასაც იღებდა, მაგრამ 50 წლის სამუშაო სტაჟის მქონე ქალბატონს მთავრობამ ეს დახმარებაც შეუწყვიტა 2000 წლიდან — შენმა ძმამ მოგიაროსო.

სად არ ყოფილა ქალბატონი ქეთევანი, მაგრამ ყველგან უარი უთხრეს დახმარებაზე. ერთადერთხელ ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა მიიტანა გულთან ახლოს ქეთევანის გაჭირვება და 50 ლარით დაეხმარა.

**თენგიზ ჩობანიძე**

## მესამის ფინიში, მეოთხის - სტარტი!

პირველი გვერდიდან

***დღეს, 9 მარტს, გათამაშების IV წრე დაიწყება. გთავაზობთ III წრის საბოლოო შედეგებს და IV წრის კალენდარს.***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბასკო | 21 | 19 | 2 | +559 | 40 |
| 2. დინამო | 21 | 16 | 5 | +433 | 37 |
| 3. სტუ-ჯეოს. | 21 | 15 | 6 | +311 | 36 |
| 4. თსუ | 21 | 12 | 9 | +116 | 33 |
| 5. რუსთავი | 20 | 11 | 9 | +101 | 31 |
| 6. მაკაბი | 20 | 7 | 13 | -132 | 27 |
| 7. სსუ | 21 | 3 | 18 | -542 | 24 |
| 8. ქუთაისი | 21 | 0 | 21 | -846 | 21 |

**IV წრის კალენდარი**

| | |
|---|---|
| **9 მარტი, სამშაბათი** | |
| ქუთაისი — სტუ-ჯეოსელი | 15.00 |
| სსუ — ბასკო | 17.00 |
| **10 მარტი, ოთხშაბათი** | |
| თსუ — ბასკო | 15.00 |
| ქუთაისი — რუსთავი | 17.00 |
| **13 მარტი, შაბათი** | |
| მაკაბი — დინამო | 15.00 |
| ქუთაისი — სსუ | 17.00 |
| ბასკო — რუსთავი | 17.00 |
| **14 მარტი, კვირა** | |
| ქუთაისი — თსუ | 15.00 |
| სტუ-ჯეოსელი — სსუ | 17.00 |
| **17 მარტი, ოთხშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — თსუ | 15.00 |
| ბასკო — მაკაბი | 17.00 |
| **18 მარტი, ხუთშაბათი** | |
| სსუ — თსუ | 15.00 |
| რუსთავი — დინამო | 17.00 |
| **21 მარტი, კვირა** | |
| სსუ — მაკაბი | 15.00 |
| დინამო — ქუთაისი | 17.00 |
| რუსთავი — თსუ | 17.00 |
| **22 მარტი, ორშაბათი** | |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 15.00 |
| მაკაბი — ქუთაისი | 17.00 |
| **8 აპრილი, ხუთშაბათი** | |
| მაკაბი — თსუ | 15.00 |
| დინამო — სსუ | 17.00 |
| რუსთავი — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| ბასკო — ქუთაისი | 17.00 |
| **10 აპრილი, შაბათი** | |
| დინამო — თსუ | 15.00 |
| მაკაბი — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| რუსთავი — სსუ | 17.00 |
| **14 აპრილი, ოთხშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — ბასკო | 15.00 |
| მაკაბი — რუსთავი | 17.00 |
| **18 აპრილი, კვირა** | |
| ბასკო — დინამო | 17.00 |

## სავარჯიშო მეხსიერებისათვის

საქართველოს ახალგაზრდობას სპორტის ახალი სახეობის სწრაფი და შედეგიანი ათვისების უნარი რომ აქვს, არაერთხელ დადასტურებულა. 1991 წლამდე ჩვენთვის სრულიად უცხო იყო სოფტბოლი. ცნობილია ჩვენში სპორტის ამ სახეობის დაფუძნების უფრო კონკრეტული თარიღიც — 4 მარტი. ასე რომ, სულ რაღაც 5 დღის წინ, სოფტბოლი საქართველოში 13 წლისა გახდა. მაგრამ ეს ასაკი და თარიღი დღეს ბევრს არაფერს გვეუბნება, მხოლოდ ახლო წარსულით თუ ვიამაყებთ. თავმოსაწონი კი ნამდვილად გვქონდა, რადგან ქალთა სოფტბოლის რამდენიმე გუნდი გვყავდა, ნაკრებს კი რუსეთის ღია პირველობებში გაუმარჯვნია. წარმატებით გამოსულან საერთაშორისო ტურნირებში, თბილისის „ივერიას" უასპარეზია ევროპის ჩემპიონთა თასზე ჰოლანდიაში (1994) და ა.შ.

ნუთუ მხოლოდ მოგონება უნდა შემოგვრჩეს?





# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

## ჟირესი ქართულს სწავლობს, კონტრაქტზე ხელს კი შინ მოაწერს

სამდღიანი გაცნობითი ვიზიტის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა და სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც მოლაპარაკებების შესახებ ვრცლად ილაპარაკეს. ფრანგს კონტრაქტზე ხელი თბილისში არ მოუწერია, ეს პარიზში მოხდება რამდენიმე დღეში, როდესაც ალენ ჟირესი კონტრაქტის პირობებს და თბილისური შეხვედრების დეტალებს თავის ადვოკატებს და ოჯახის წევრებს გააცნობს. პარასკევს თბილისში ჩამოსული ალენ ჟირესი კი ვიზიტის პროგრამის მიხედვით მოძრაობდა საქართველოს დედაქალაქში.

ალენ ჟირესმა დაათვალიერა ნაკრების საწვრთნელი ბაზა, სავარჯიშო მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი, აუზი, საცხოვრებელი კორპუსი და კმაყოფილი დარჩა. დაესწრო „დინამოსა“ და „სამგურალის“ სათასო მატჩს.

დატვირთული აღმოჩნდა კვირა დღე. ჯერ სფფ-ში მოლაპარაკებები განაგრძეს მერაბ ჟორდანიამ და მოსიე ჟირესმა, შემდეგ „ლოკომოტივის“ არენას მიაშურეს, სადაც „ლოკომოტივი“ — „თბილისის“ პაექრობას მიადევნეს თვალი. 17 საათზე კი კვლავ ფედერაციაში დაბრუნდნენ, ჟურნალისტებთან სასაუბროდ. პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანია, ალენ ჟირესი და გია გურული გამოცხადდნენ. საუბარი ფედერაციის თავკაცმა დაიწყო: „გადავწყვიტეთ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ალენ ჟირესისათვის შეგვეთავაზებინა. ჩემსა და ფრანგ მწვრთნელს შორის პირველი საუბარი პარიზში გაიმართა. ამის შემდეგ დღის წესრიგში ჟირესის თბილისში ჩამოსვლის აუცილებლობა დადგა. მას არა მარტო კონტრაქტის ფინანსური პუნქტები, არამედ ყველა დეტალი აინტერესებდა. ფრანგ მწვრთნელს ნაკრების ფეხბურთელებზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ, მერე კი კონტრაქტის დეტალებზე ვისაუბრეთ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ხვალ პარიზში ერთად გავფრინდებით. ჟირესი ჩვენს შეთანხმებას თავის ადვოკატებს გააცნობს, შემდეგ კი ოჯახის წევრებს აუწყებს. იმედია,



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მარცხნიდან – გია გურული, მერაბ ჟორდანია, ალენ ჟირესი

მის ოჯახს საქართველოში ბევრი სასიხარულო წუთის გატარება მოუწევს“.

ალენ ჟირესი შეკრებილ ჟურნალისტებს ქართულად მიესალმა და საუბარი განაგრძო: „როგორც უკვე იცით, მერაბ ჟორდანიას პარიზში შევხვდი. მოლაპარაკებებმა და ქართველებთან თანამშრომლობამ ძალზედ დამაინტერესა და გადაწყვიტე თავად მენახა ყოველივე. დიდი მადლობა ასეთი გულთბილი დახვედრისათვის და იმ სითბოსათვის, რომელიც ჩემს მიმართ გამოამჟღავნეთ. როდესაც პარიზში ჩავალ, ჩვენს შეთანხმებას ადვოკატებს გავაცნობ და კონტრაქტსაც გავაფორმებ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ წვლილი შევიტანო ქართული ფეხბურთის განვითარებაში.

ჟირესმა ილაპარაკა თბილისურ შთაბეჭდილებებზე. საწვრთნელი ბაზითა და პირობებით იგი აღფრთოვანებული დარჩა. „უკვე ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო ნაკრებში, თუმცა, აქამდე ნამდვილად არ ვიცოდი თუ სად და როგორ პირობებში მომიწევდა საქმიანობა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩამოსვლა და ყველაფრის საკუთარი თვალით ხილვა. ძალიან კარგია, როდესაც საწვრთნელი ბაზა ქალაქგარეთაა. მშვიდ და წყნარ ვითარებაში მუშაობა ძალიან კარგია“.

ბატონმა მერაბმა ისაუბრა იმ თანაშემწეებზე, ვინც დაეხმარება მთავარ მწვრთნელს. ჟირესის უშუალო თანაშემწე გია გურული იქნება. რაც შეეხება მეკარეთა მწვრთნელსა და ფიზიკური მომზადების სპეციალისტს, ჟირესის თქმით, ამ საქმის შემსრულებელი კარგი სპეციალისტი უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ორ ფუნქციას ქართველები შეასრულებენ.

საუბარი ძალიან ბევრ თემას შეეხო. როგორც იცით, 30 მარტს გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ჩვენს გუნდს უმასპინძლებს. გუნდი გერმანიაში 27 მარტს გაემგზავრება იმ ფეხბურთელებით, რომლებსაც ქართული კლუბებიდან გამოიძახებენ. ლეგიონერები კი ნაკრებს მანჰეიმში შეუერთდებიან. თუ ვინ ჩაიბარებს ახალგაზრდულ ნაკრებს, ამ კითხვაზე მერაბ ჟორდანიამ შემდეგი განაცხადა: „ამას თვის ბოლომდე გადავწყვეტთ. გვინდა მეორე ნაკრებშიც უცხოელი სპეციალისტი მოვიწვიოთ. ამის თაობაზე მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებთ.“

რაც შეეხება სპონსორებს, ერთ-ერთი კომპანია „ყაზბეგია“, კიდევ არის ერთი უცხოური კომპანია, რომელიც სოლიდურ ბიზნესშია ჩართული და საქართველოში მოღვაწეობს. ნაკრებსაც აუცილებლად დაუწესდებათ პრემიები.

საქართველოს ნაკრების ახალმა თავკაცმა შესაძლოა ჩვენი გუნდი 4-4-2 ტაქტიკური სქემით ათამაშოს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს სქემა კონკრეტული მეტოქის მიხედვითაც შეარჩიონ, ან შეცვალონ კიდეც.

თუ ვინ იქნება ახალი გენერალური მდივანი, ამასთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა: „ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ ჩემი პარიზში ყოფნის პერიოდში ფედერაციას ჩემი თანაშემწეები ხათუნა ჩიხლაძე და გერა ხეცურიანი გაუძღვებიან.

ძალზედ საინტერესო იყო ამ ორი დღის განმავლობაში, როდესაც ჟირესი თამაშებს ესწრებოდა, ხომ არ შეაჩერა რომელიმე ფეხბურთელზე ყურადღება. „საინტერესო თამაშები იყო, დაკონკრეტებას არ შევუდგები. იმას კი გეტყვით, რომ ამ მატჩებიდან საჭირო ინფორმაცია მივიღე“ — განაცხადა ფრანგმა მწვრთნელმა.

ძალაში რჩება ის დაპირებაც, რომ პლატინი დაესწრება ჩვენი გუნდის ყველა მატჩს. ჟირესმა კი დასძინა: „სადაც მიმუშავია, პლატინი ყოველთვის დასწრებია ჩემს სადებიუტო თამაშს. მას კარგი ფეხი აქვს, რადგან ყველა ის შეხვედრა ჩემმა გუნდმა მოიგო.“

ჟირესი საქართველოში მოსაგებად ჩამოვიდა და მისი ტაქტიკა ციფრების გარეშეც ერთია — იგი ნაკრებს მინდორზე მოსაგებად გაიყვანს.

ლ. ჭანკოტაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola მთავარი სპონსორი

# დავით ყიფიანის სახელობის თასი

## მერვედფინალი. პირველი მატჩები

### „ლოკომოტივი“ — „თბილისი“ 1-0

თასის მერვედფინალში „ლოკომოტივმა“ „თბილისს“ უმასპინძლა. მართალია, შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დასრულდა, მაგრამ თამაში ისე წარიმართა, შეკრებილ მაყურებელს ნამდვილად არ მოუწყენია. „თბილისს“ თან ახლდა გულშემატკივართა დიდი ჯგუფი, მათ 90 წუთის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ ქომაგობა. გულშემატკივრებს თან ახლდათ მომღერალთა გუნდი, რომელიც ხან „მრავალჟამიერს“ დაამღერებდა, ხანაც საქართველოს ჰიმნს. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს შეძახილები და სიმღერები დიდ სტიმულს აძლევდა სტუმართა გუნდსაც და მასპინძლებსაც.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს. ანგარიში დასაწყისშივე გაიხსნა, მე-6 წუთზე ძამსაშვილის ჩინებულ დარტყმას გოლი მოჰყვა. რკინიგზელთა რიგებში თითქმის ყველა მოთამაშე აქტიურობდა, გულშემატკივრებს ნამდვილად არ გამორჩენიათ „ლოკომოტივში“ მოთამაშე ყოფილ დინამოელთა ტრიო: მანწკავა, მიქაძე, და ახალწვეული სახვაძე. ისინი მართლაც ბევრს ცდილობდნენ თავიანთი გუნდის წარმატებისათვის.

მეორე ტაიმში „თბილისმა“ ძირითადად შემტევ ფეხბურთს მიმართა, რამაც რკინიგზელები აიძულა დაცვაში გამაგრებულიყვნენ. მამალაძეს, სალუქვაძესა და ორბელაძეს დიდი ჯაფა დაადგათ მრისხანე „თბილისელი“ ფორვარდების



შეტევების მოგერიებისას. 61-ე წუთზე, სახვაძის პასით, პირისპირ მეკარესთან გასულ ზამთარაძეს კარგი შანსი ჰქონდა ანგარიშის გაზრდისა, თუმცა ამ უკანასკნელმა ეს ვერ შეძლო.

ორივე გუნდში განხორციელებულმა ცვლილებებმა ანგარიში აღარ შეცვალა. შეხვედრაც 1-0 დასრულდა. საპასუხო მატჩი, რომელიც 13 მარტს გაიმართება, უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება. სწორედ მისი შედეგი გაარკვევს, თუ ვინ იმსახურებს მეოთხედფინალში თამაშის უფლებას.

ლ. ჭანკოტაძე

### „დინამო“ (თბ) - „სამგურალი“ 6-0

დავით ყიფიანის თასის მერვედფინალის გათამაშების პირველი შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. თბილისის „დინამოსა“ და წყალტუბოს „სამგურალს“ შორის პაექრობა ერთობ საინტერესო გამოდგა.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, პირველ ტაიმში არც ერთ გუნდს ანგარიში არ გაუხსნია. მართალია, პირველი ნახევრის დამთავრებამდე „დინამო“ უტევდა, მაგრამ მასპინძელთა ბურთების მოგერიებას სტუმართა მეკარე ბოდოკია ახერხებდა.

ანგარიშის გახსნა შეძლო ბრაზილიელ ლეგიონერს რომეროს, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა შანსი თავურით დაელაშქრა სტუმართა კარი. რამდენჯერმე ვერ გამოიყენეს კარგი მომენტები ახალაიამ და ანჩაბაძემ.



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც კვირკველიამ კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. 56-ე წუთიდან კი დაიწყო „სამგურალის“ განადგურება. ანჩაბაძის საჯარიმოს გოლი მოჰყვა. 64-ე წუთზე გოგობერიშვილმა ანგარიში ორამდე გაზარდა. 68-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა მელქაძემ მესამე გოლი გაიტანა, მე-80 წუთზე კვლავ მელქაძემ იაქტიურა და... 4-0. მალე ბობოხიძემ კაშიას პასი ზუსტად გამოიყენა, 5-0. თამაშის მიწურულს მელქაძემ ჰეთ-თრიკი შეასრულა. საბოლოოდ შეხვედრა 6-0 დასრულდა. ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არაა.

# ფეხბურთს ხვავრიელად დაათოვა...

შაბათ-კვირის მერვედფინალის პირველ სათასო მატჩებს მოულოდნელად დაათოვა. რვა მატჩიდან მხოლოდ ხუთი გაიმართა, ძირითადად თბილისური შეხვედრები. დასავლეთში დიდთოვლობის გამო სამი მატჩი გადაიდო და თუ გამოიდარა, ოთხშაბათს, 10 მარტს გაიმართება. საპასუხო მატჩები კი 12-13 მარტსაა დანიშნული.

ჩატარებული შეხვედრებიდან აღსანიშნავი ვაკეში გამართული მატჩი იყო. დერბი მცირე უპირატესობით „ლოკომოტივმა“ მოიგო. „თბილისი“ კი შანსის გამოყენებას საპასუხო მატჩში შეეცდება. ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთი დერბი შედგა. პირველლიგელმა „ამერმა“ უმაღლესლიგელ „სპარტაკს“ უმასპინძლა და ნულოვანი ფრეს შემდეგ ორივე გუნდის შანსები თანაბარია.. სხვა მატჩებში ფავორიტთა უდავო უპირატესობა ტაბლოზე გამოიხატა. შაბათის მატჩში თბილისის „დინამომ“ ექვსჯერ შეურხია კარის ბადე წყალტუბოელ სტუმრებს. გორში „დილამ“ ლაგოდეხელებს სამი გოლი გაუტანა და შინ ისე გაისტუმრა. ზღვისპირეთში გამართული ერთადერთი მატჩი სტუმრებმა მოიგეს. ფოთელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ვიტელებს და ამ წყვილშიც მეოთხედფინალის საგზურის მფლობელი, ალბათ, უკვე გაირკვა.

## დავით ყიფიანის სახელობის თასი

### მერვედფინალი. პირველი მატჩები. სტატისტიკა.

**6 მარტი. ეროვნული სტადიონი. 150 მაყურებელი**

**დინამო (თბ) – „სამგურალი“ 6-0**

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (ქოქიაშვილი, 84), შაშიაშვილი, კაშია, კანდელაკი, კვირკველია, რომერო, ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ახალაია (მელქაძე 68), ს. იაშვილი (მ. ბობოხიძე, 70).

**სამგურალი:** ბოდოკია, დ. ჰელიძე, ფრანგიშვილი, ბარაბაძე (გ. ქობალია, 70), ი. მაღლაკელიძე, შ. დარსაძე, მ. ჯინჭარაძე (ქურციკიძე, 60), კ. ჯანაშია, თუთბერიძე, გივი ჩხეტიანი, კიკვიძე.

**გოლები:** 1-0 ანჩაბაძე (56), 2-0 გოგობერიშვილი (64), 3-0, 4-0 მელქაძე (68, 80), 5-0 ბობოხიძე (86), 6-0 მელქაძე (90).

**გააფრთხილეს:** ფრანგიშვილი (77).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**7 მარტი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 500 მაყურებელი**

**„ლოკომოტივი“ – „თბილისი“ 1-0**

**ლოკომოტივი:** მამალაძე, ზამთარაძე, ი. ვაშაკიძე, ს. ორბელაძე, სალუქვაძე, სახვაძე, ძამსაშვილი, მანწკავა, სოსელია (სანიკიძე, 72), დათვაძე (ზირაქიშვილი, 77), მიქაძე.

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, სიდამონიძე, გ. კვარაცხელია, გოგიტა გაგუა (გ. ნოდარის ძე ჰელიძე, 79), ხოჯავა (თ. აფციაური, 53), ოდიკაძე, მიკუჩაძე, ლოლაძე (გეწაძე 46), ქემოკლიძე, ელიავა, გ. ნუგზარის ძე ჰელიძე.

**გოლი:** 1-0 ძამსაშვილი (6).

**გააფრთხილეს:** გ. გოგუა (33), ზამთარაძე (45), ძამსაშვილი (69).

**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი).

**7 მარტი. ეროვნული სტადიონი. 300 მაყურებელი**

**„ამერი“ – „სპარტაკი“ 0-0**

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, კედელაშვილი, ჩიხრაძე, დავითნიძე, გარუჩავა, ვერემჩუკი (კუსრაშვილი, 70), შონია, ხუბუა, სილაგავა, წინამძღვრიშვილი (ბ. გოცირიძე, 46), რუსია.

**სპარტაკი:** დევაძე, დონდოლაძე, ქვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ლ. ვაშაკიძე (მაღლაფერიძე, 46), ჯანგიძე,

იხ. მე-4 გვ.


ფოტო ე. მალხაზიშვილისა

## დავით ყიფიანის სახელობის თასი მერვედფინალი. პირველი მატჩები. სტატისტიკა.

**მესამე გვერდიდან**

კიკნაძე, ი. სამხარაძე (თურქია 86), ტატანაშვილი (კვერენჩხილაძე, 64), ტაბიძე.
**გააფრთხილეს:** ვაშაკიძე (15), წინამძღვრიშვილი (44), ჯანგიძე (62).
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**7 მარტი. გორი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 200 მაყურებელი.**
**„დილა“ – „ჰერეთი“ 3-0**
**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ლაცაბიძე, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, ხანიშვილი (თომაშვილი, 71), ჯობაძე (საყვარელიძე, 63), ნადირაძე, გ. ჩიტაია (ქარქუსაშვილი (81).
**ჰერეთი:** რამინაშვილი, ქერტყოევი, შეყილაძე, გაფრინდაშვილი, გ. მეტრეველი, რეხვიაშვილი, აბაშიძე, გოგოტიშვილი, მჭედლიშვილი (ლობჟანიძე, 79), გოჩა სირაძე (მუმლაძე, 61), ლ. სამარგულიანი.
**გოლები:** 1-0 სულთანიშვილი (15), 2-0 ბ. ჩიტაია (70), 3-0 საყვარელიძე (80 პ).
85-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა გოგოტიშვილმა.
**გააფრთხილეს:** ბალაშვილი (64), გ. ჩიტაია (81), გაფრინდაშვილი (80).
**გააძევეს:** შეყილაძე (40).
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი).

**7 მარტი. ფოთი. სტადიონი „ფაზისი“. 300 მაყურებელი**
**„კოლხეთი 1913“ – „ვიტ ჯორჯია“ 0-3**
**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე (ხურცილავა, 46), ლონლაძე, წურწუმია, აკობია, შალამბერიძე (ნარსია, 46), კალანდაძე, თაყაძე (კუნჭულია 58), მარგალიტაძე, ქუთათელაძე, გაბედავა.
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კუპრეიშვილი, იმედაშვილი, ლ. მერებაშვილი (თ. კობიაშვილი, 70), ინწკირველი, ლაშა ნოზაძე (დათუნაიშვილი, 46), დილმელაშვილი, დეკანოსიძე, ადამია (მარცვალაძე 53), ვ. გოჩაშვილი, გოცირიძე.
**გოლები:** 0-1, 0-2 ნოზაძე (28, 36), 0-3 გოცირიძე (69).
**გააფრთხილეს:** თ. კობიაშვილი (87).
**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი).

**გადადებული მატჩები**
„მერცხალი“ — „ქობულეთი“ (10.03)
„დინამო“ (ბთ) — „მცხეთა“ (10.03)
„ტორპედო„ — „სიონი“ (10.03)







## ფიფას 100 წლისთავისთვის

როგორც ცნობილია, 21 მაისს ფიფას უსრულდება 100 წლისთავი.

ფიფამ საბოლოოდ დაასრულა „ფინანსჰაუს კორნფეინ“-ის სამახსოვრო ოქროს ბრელოკის წარმოება, რომლის შეძენაც უკვე შესაძლებელია.

ოქროს ბრელოკის დამახასიათებელი ნიშნები: ძირითადი ლითონი — პლატინა 999.9, წონა: პატარა — 2,5 გრამი, საშუალო — 5 გრამი, დიდი — 10 გრამი.

იდეის ავტორი: ფიფა.

ბრელოკის გამოცემა გაგრძელდება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე. ამ თარიღთან დაკავშირებით, აგრეთვე გასაყიდად გამოვა ემბლემიანი კალმები, პარკები, ჩანთები, პირსახოცები, ქოლგები და ა.შ. დამზადდა საიუბილეო პლაკატიც.

მოამზადა ბონდო ჯულუხიძემ

## უმაღლესიდან - პირველში

თებერვლის ბოლოს ტესტირება-სემინარი ჩაუტარდათ უმაღლესი ლიგის მატჩების ინსპექტორებს. დაახლოებით ოცდახუთმა ინსპექტორმა წარმატებით გაიარა ტესტები და მათი მონაცემები დასამტკიცებლად გადაეცა ფეხბურთის ფედერაციას. ჩემპიონატის მეორე ეტაპი 18 მარტს დაიწყება. ორი დღით ადრე, 16 მარტს, სტარტი მიეცემა პირველი ლიგის მეორე წრეს. ერთი კვირით ადრე კი, ხვალ, 10 მარტს, სფფ-ში 11 საათზე, ტესტირება-სემინარი ჩაუტარდებათ პირველი ლიგის მატჩების ინსპექტორებს.

ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორებს სფფ-ში წარადგენენ რეგიონების ფეხბურთის ფედერაციები დადგენილი ფორმებისა და კვოტების გათვალისწინებით. პირველობის მატჩებს ინსპექტორების რანგში ძირითადად მოემსახურებიან ვეტერანი მსაჯები და ფეხბურთელები.

სფფ-ს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის მოთხოვნით, ინსპექტორებმა უნდა წარმოადგინონ: ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა №27, ცნობა სამუშაო ადგილიდან (საფეხბურთო კლუბების თანამშრომლები ინსპექტორებად არ დაიშვებიან), ორი ფოტოსურათი 3X4-ზე. საფეხბურთო მატჩის ინსპექტორს უნდა გააჩნდეს ფეხბურთში მუშაობის გამოცდილება.

ისინი, ვინც დადგენილ ვადებში არ გაივლიან ტესტირებას, თამაშებზე არ დაიშვებიან.

## ქართული ფეხბურთის ვეტერანები

# იური კურტანიძე - 70



იური კურტანიძე იმ ქართველ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც დიდ ფეხბურთში გზა — ქართული ფეხბურთის პატრიარქმა ანდრო ჟორდანიამ დაულოცა. ეს იყო 1955 წლის საფეხბურთო სეზონში, როდესაც თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა ასევე ახალი სახელები: მიხეილ მესხი, მიხეილ პირაევი, ზურაბ სოტკილავა, ალიოშა ჩიჩუა, მოსე დავარაშვილი და გუნდის ყველაზე მტკივნეულ მარცხენა მცველის პოსტზე — გივი ხოჭოლავა. იღბლიანი გამოდგა იური კურტანიძისთვის პირველივე მატჩი საკავშირო პირველობაზე კიევის „დინამოსთან“. პირველ ტაიმს ქართველი ფეხბურთელები აგებდნენ — 0-2. შესვენებაზე ანდრო ჟორდანიას დამოძღვრილმა გუნდმა ნამდვილი ქართული შემტევი ფეხბურთი მოახვია თავს მეტოქეს. ჯერ ავთანდილ ღოღობერიძემ, შემდეგ დებიუტანტმა იური კურტანიძემ შეძლეს გოლების გატანა და ქართველთა გუნდი დამარცხებისგან იხსნეს. მეორე შეხვედრა, რომელშიც თავი გამოიჩინა მანამდე სრულიად უცნობმა ფეხბურთელმა, ისევ კიევის „დინამოსთან“ გამართული სათასო მატჩი იყო, რომელიც დამატებით დროში თბილისის „დინამომ“ მოიგო. აქაც მეორე გოლის ავტორი იური კურტანიძე იყო, ხოლო მეტოქის კარში მესამე ბურთი დამატებით დროში ბრწყინვალედ მოთამაშე — დრიბლინგის შეუდარებელმა ოსტატმა ბორის ხასიამ გაიტანა...

ამის შემდეგ ანდრო ჟორდანიას არ აცალეს გუნდის გაახალგაზრდავების პროცესის გაგრძელება, პოსტიდან დაითხოვეს და დაიწყო მწვრთნელთა კალეიდოსკოპური სიჩქარით ცვალებადობა, სანამ ანდრო ჟორდანია 1959 წელს კვლავ არ მოიწვიეს გუნდში. „დინამოდან“ დათხოვნილი იური კურტანიძე ჯერ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში, შემდგომში კი „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო.

1960 წლის დასაწყისიდან იური კურტანიძე კვლავ „დინამოს“ რიგებშია, სადაც მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატის 5 კალენდარულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაში გამოსვლითაც დაამახსოვრა ქართველ ფეხბურთის მოყვარულთ თავი, როგორც ერთ-ერთმა მაღალტექნიკურმა ფეხბურთელმა. ვისთანაც კი უასპარეზია იური კურტანიძეს, ყველა ერთხმად აღიარებდა მის საოცარ კორექტულ და ტექნიკურ თამაშს. მისგან რაიმე უხეშობის მაგვარი ილეთი ხომ წარმოუდგენელი იყო, ამის დასტურია მისი გამოსვლა თბილისის „ლოკომოტივში“, როდესაც ერთ-ერთი საკონტროლო მატჩის წინ, თბილისის „დინამოსთან“, რკინიგზელ ფეხბურთელთა მაშინდელმა დამრიგებელმა დუკა რამიშვილმა (საუცხოო ფეხბურთელმა, მსაჯმა და მწვრთნელმა) მოედანზე გასვლის წინ დაახასიათა რა იგი თანაგუნდელთა წინაშე, დასძინა (რატომღაც რუსულ ენაზე), „ონ ბოლეე ტეხნიჩნი, — ჩემ ბასა“. ვფიქრობ, დიდებული მწვრთნელის ეს კომპლიმენტი სავსებით დაიმსახურა იური კურტანიძემ. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ საქართველოს ქვედა ეშელონის გუნდებში გადაინაცვლა და თავისი უმდიდრესი ტექნიკური არსენალის დემონსტრირებით დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდა ტექნიკურ ფეხბურთელთა აღზრდას. ქართული ფეხბურთის წინსვლა ყოველთვის იყო განპირობებული სწორედ ტექნიკური ფეხბურთელებით. მსოფლიო კლასის სუპერვარსკვლავებით გადაჭედილმა თბილისის „დინამომ“ საწადელს ორმოცი წლის წინათ მიაღწია, როცა პირველად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

იური კურტანიძემ სულ 10 შეხვედრა ჩაატარა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სხვადასხვა დროს — 1955 და 1960 წლის სეზონში, გაიტანა 2 გოლი. მიუხედავად ერთობ მოკრძალებული შედეგისა, ძველ ფეხბურთის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ ფილიგრანული ტექნიკით აღჭურვილი ეს შესანიშნავი ფეხბურთელი — ტყავის ბურთის უბადლო ოსტატი.

**დემურ ტორაძე**




## ესეც, მეთორმეტე წიგნი!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით სწორედ ამდენი რაოდენობის „ქართული ფეხბურთის“ ყოველწლიური წიგნი გამოსცა ფეხბურთის ცნობილმა სტატისტიკოსმა რევაზ შენგელიამ. ტრადიციისამებრ უხვად ილუსტრირებულ ახალ წიგნში 2003-2004 წლების საფეხბურთო სეზონთან დაკავშირებული საცნობარო ინფორმაციებია თავმოყრილი, მიმოხილულია საქართველოს 14 ჩემპიონატის სტატისტიკა, წარმოდგენილია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები და ფეხბურთელები, საქართველოს ნაკრები გუნდების მატჩები 2002-2003 წლებში, ევროპის საკლუბო ტურნირები, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შედეგები (2002-2003).

გამოცემა ეხმიანება აგრეთვე აქტუალურ თემას „ფეხბურთი რასიზმის გარეშე“.

წიგნში შესულია ვარლამ გენგიურის, ზურაბ გენგიურის (გარეკანი), გურამ დოლენჯაშვილის, ბადრი კეთილაძის და ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები.

# ბავშვთა ფეხბურთი

## «არეალმა» «დიუსელდორფის გმირი» გაიხსენა

ვარკეთილში, საფეხბურთო კლუბ „არეალის“ ფეხბურთის მოედანზე გაიმართა გამოჩენილი ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას მემორიალური ტურნირი 1992 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. ასპარეზობაში თბილისისა და ქუთაისის 10 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ვარკეთილის „არეალმა“ პენალტების სერიით 4-3 მოუგო ქუთაისის „დინამოს“ და ვიტალი დარასელიას თასს დაეუფლა (მწვრთნელი ირაკლი ანჩაბაძე). მესამე ადგილზე გავიდა თბილისის „მერანი“. შეჯიბრების ორგანიზატორებმა, საფეხბურთო კლუბმა „არეალმა“ და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ჯაბა ჯიღაური („არეალი“) დაასახელეს. დაჯილდოვდნენ აგრეთვე მემორიალის საუკეთესო მეკარე საბა ლაცაბიძე („არეალი“), მცველი – გიორგი პაილევანიანი („მერანი“), ნახევარმცველი – ზაზა კვიცარიძე, თავდამსხმელი – თორნიკე შეყრილაძე (ორივე – ქუთაისის „დინამო“), ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი მოიპოვა რომეო გელენიძემ („არეალი“), პრიზი გადაეცა აგრეთვე ყველაზე ლამაზი გოლის გამტანს – მირიან იანტბელიძეს („მართვე“).

სურათზე: გამარჯვებული „არეალი“ (უკანა რიგში) და მეორე პრიზიორი ქუთაისის „დინამო“.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## იტალიური სუპერმატჩის მოლოდინში

**გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.**

**იტალიის სერია „ა“-ს 24-ე** ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „მილანმა“ „სამპდორიას“ უმასპინძლა და დაამარცხა 3-1. ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა პირლომ, მართალია სტუმრებმა ათ წუთში შეძლეს წონასწორობის აღდგენა, თუმცა, მალევე ფილიპო ინძაგიმ კვლავ დააწინაურა „მილანი“. მეორე ტაიმის დასაწყისში კი კაკამ მესამედ დალაშქრა „სამპდორიის“ კარი.

ამ მატჩში არ უთამაშია კახი კალაძეს. **„მილანის“ შემადგენლობა:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი, 57), კაკა, ტომასონი (რუი კოშტა, 78), ინძაგი (შევჩენკო, 67).

ტურინის „იუვენტუსი“ 0-2 აგებდა პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრად „ბრეშიასთან“, მაგრამ მეორე ტაიმში შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვების მოპოვება — 3-2. სტუმართაგან გოლები გაიტანეს



მიკოლიმ, დი ვაიომ და ნედვედმა.

**„იუვენტუსის“ შემადგენლობა:** ბუფონი, ტიურამი, ლეგროტალიე, იულიანო (ტაკინარდი, 61), პესოტო (მონტერო, 46), კამორანეზი, აპია, კონტე, ნედვედი, მიკოლი, დი ვაიო (დელ პიერო, 74).

„რომამ“ საკუთარ მოედანზე „ინტერი“ დაამარცხა 4-1. როგორც ჩანს, ძაკერონის მილანური კლუბიდან წასვლა მოუწევს. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს 42-ე წუთზე (თავი გამოიჩინა კასანომ), 63-ე წუთზე მანჩინიმ მეორე გოლი გაიტანა „ინტერის“ კარში, რასაც ვიერის საპასუხო გოლიც მოჰყვა. მილანელებს რომიდან ქულის წაღების იმედი გაუჩნდათ, თუმცა კორდობამ მატჩის მიწურულს აკრძალული ილეთით შეაჩერა „რომას“ ფეხბურთელი. მსაჯმა თერთმეტმეტრიანიც დანიშნა და კორდობაც გააძევა. ტოტის ზუსტ დარტყმას მალე მანჩინის მეოთხე გოლიც მოჰყვა.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„რომა“:** პელიცოლი, პანუჩი, ძებინა, სამუელი, კანდელა, მანჩინი, ემერსონი, დაკური (ტომაზი, 77), ლიმა, ტოტი, კასანო.

**„ინტერი“:** ტოლდო, კორდობა, ადანი, კანავარო, ჰელვეგი, ფარისონი (ვან დერ მეიდე, 83), კ. ძანეტი, ხ. ძანეტი, კილი (კარაგუნისი, 67), ადრიანო (მარტინსი, 59), ვიერი.

სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე მყოფ „მილანს“ 61 ქულა აქვს და 5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „რომას“. 55 ქულით მესამე ადგილზეა „იუვენტუსი“.

**სხვა მატჩები:** „მოდენა“ — „პარმა“ 2-2, „უდინეზე“ — „პერუჯა“ 1-1, „ანკონა“ — „რეჯინა“ 1-1, „კიევო“ — „ემპოლი“ 0-0, „ლეჩე“ — „სიენა“ 0-0.

**მომდევნო ტურში გაიმართება ცენტრალური მატჩი „იუვენტუსსა“ და „მილანს“ შორის.**

**სხვა მატჩების განრიგი:** 13-14 მარტი: „სამპდორია“ — „ბოლონია“, „ემპოლი“ — „ლეჩე“, „პერუჯა“ — „მოდენა“, „ლაციო“ — „უდინეზე“, „პარმა“ — „ბრეშა“, „რეჯინა“ — „რომა“, „ინტერი“ — „კიევო“, „სიენა“ — „ანკონა“.

**გერმანიის ბუნდესლიგის 23-ე** ტურში ბრემენის „ვერდერმა“ სტუმრად შეძლო „მიუნხენის“ დამარცხება (2-0) და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონის ტიტულისკენ. ანგარიში 37-ე წუთზე კლასნიჩმა გახსნა, მეორე ტაიმის შუაგულში კი ხარისტეასმა მეორე გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში.



ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ლევერკუზენში, სადაც ადგილობრივმა „ბაიერმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლა. სტუმრებმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს. მე-40 წუთზე ანგარიში როი მაკაიმ გახსნა, 58-ეზე ბალაკმა მეორე გოლი გაიტანა, რასაც ისევ მაკაის მიერ ლევერკუზენელთა კარის მესამედ დალაშქვრა მოჰყვა. მასპინძლებმა ერთადერთი ის მოახერხეს, რომ უკანასკნელ წუთზე ერთი საპასუხო გოლი გაიტანეს. „ბაიერნმა“ გაიმარჯვა 3-1, გაუხდა 48 ქულა და ისევ 7 ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს „ვერდერს“.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„ბაიერი“:** ბუტი, ფრიტცი, ნოვოტნი (ლუჩიჩი, 46), ჟუანი, პლასენტე, შნაიდერი, რამელოვი (ცალეუნი, 52), ბალიჩი, ბერბატოვი, ფრანკა, ბიროფკა (ნოვილი, 63).

**„ბაიერნი“:** კანი, სანიოლი (იერემისი, 66), რ. კოვაჩი, კუფური, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაგერი, ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო (ტროხოვსკი, 83), სანტა კრუზი (პიზარო, 78), მაკაი.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ საკუთარ მოედანზე წააგო „შტუტგარტთან“ 0-2. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს გლებმა და ჰელდტმა.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„ბორუსია“ (დ):** ვარმუზი, როტერი (ევანილსონი, 46), ვიორნსი, დემელი, დედე, ფლავიო (რიკენი, 46), ფრინგსი, კელი, ოდონკორი (გამბინო, 75), კოლერი, ევერტონი.

**„შტუტგარტი“:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ჟივკოვიჩი, ბორდონი, ლამი, მაისნერი, სოლდო (ვრანიესი, 46), მეირა, გლები (ჰელდტი, 77), კურანი, კაკაუ (შტრელერი, 62).

ამავე ტურში ერთგვარი ქართული დერბი შედგა. კობიაშვილის „შალკემ“ ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგს“ უმასპინძლა და სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ორჯერ თავი სანდიმ გამოიჩინა, ხოლო ერთხელ — გლიდერმა. ამით „შალკეს“ წაუგებელი მატჩების სერია ათამდე ავიდა. კობიაშვილმა მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო მოედანზე და ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„შალკე“:** უნლუ, ჰაიტო, კლასნერი, ვან კერკჰოვენი, კობიაშვილი (როდრიგესი, 29), პოულსენი, ჰამიტ ალტინტოპი, ვერმანტი, ბიომე, სანდი, გლიდერი (აგალი, 81).

**„ფრაიბურგი“:** გოლცი, რიტერი, კონდე (ოლაევბეში, 67), მიულერი, ბერნერი, ჰერზელი, ბაირამოვიჩი (სანუ, 55), ანტარი, კულიბალი, კაირო (ცაიერი, 72), იაშვილი.

**სხვა მატჩები:** „ჰერტა“ — „ბოხუმი“ 1-1, „ჰანზა“ — „ჰამბურგი“ 3-0, „კაიზერი“ — „აინტრახტი“ 1-0, „მიონხენგლადბახი“ — „ჰანოვერი“ 1-0, „ვოლფსბურგი“ — „კიოლნი“ 2-0.

**მომდევნო ტურში 13-14 მარტს ერთმანეთს ხვდებიან:** „ბაიერი“ — „ვოლფსბურგი“, „ჰანოვერი“ — „კაიზერი“, „ბოხუმი“ — „მიონხენგლადბახი“, „ჰამბურგი“ — „ჰერტა“, „ბაიერნი“ — „ჰანზა“, „ვერდერი“ — „კიოლნი“, „შტუტგარტი“ — „მიუნხენი“, „ფრაიბურგი“ — დორტმუნდი, „აინტრახტი“ — „შალკე“.



**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** 27-ე ტურში მადრიდის „რეალი“ ფრეს (1-1) დასჯერდა სტუმრად „რასინგთან“ შეხვედრაში, თუმცა 60 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. „რეალის“ შეფერხებით ისარგებლა „ვალენსიამ“, რომელმაც საკუთარ მოედანზე 3-0 გაანადგურა „დეპორტივო“ და „სამეფო კლუბთან“ სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა. 56 ქულით მესამეზეა „დეპორტივო“, რომელსაც მხოლოდ ქულითღა ჩამორჩება „ბარსელონა“. ამ უკანასკნელმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად „მალიორკასთან“ (3-2).

**სხვა მატჩები:** „ოსასუნა“ — „სოსიედადი“ 1-1, „სელტა“ — „ესპანიოლი“ 1-5, „ბილბაო“ — „ვალიადოლიდი“ 1-4, „სარაგოსა“ — „მალაგა“ 1-0, „ალბასეტე“ — „ბეტისი“ 1-0, „სევილია“ — „ვილიარეალი“ 2-0, „ატლეტიკო“ — „მურსია“ 1-1.

**მომდევნო ტურში 13-14 მარტს ერთმანეთს ხვდებიან:** „ბეტისი“ — „ოსასუნა“, „სელტა“ — „ვალენსია“, „ესპანიოლი“ — „რასინგი“, „რეალი“ — „სარაგოსა“, „სოსიედადი“ — „ატლეტიკო“, „ვალიადოლიდი“ — „სევილია“, „მალიორკა“ — „დეპორტივო“, „ვილიარეალი“ — „ალბასეტე“, „მურსია“ — „ბარსელონა“, „მალაგა“ — „ბილბაო“.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** მორიგ ტურში „მონაკომ“ 3-1 დაამარცხა „გინგამი“ და კვლავ ინარჩუნებს ერთპიროვნული ლიდერის პოზიციას 58 ქულით. მას კვლავ 4 ქულით ჩამორჩება „ლიონი“, რომელმაც ამავე ტურში მიწასთან გაასწორა „აიაჩო“ (4-0).

**სხვა მატჩები:** „პსჟ“ — „სოშო“ 1-1, „ლილი“ — „ოსერი“ 1-0, „მეცი“ — „ლანსი“ 0-2, „მონპელიე“ — „ტულუზა“ 0-1, „რენი“ — „ნანტი“ 0-3, „სტრასბური“ — „ნიცა“ 2-2, „ბორდო“ — „ლემანი“ 2-0, „ბასტია“ — „მარსელი“ 4-1.

**მომდევნო ტურში, 13 მარტს ერთმანეთს ხვდებიან:** „აიაჩო“ — „ლილი“, „ოსერი“ — „მონაკო“, „გინგამი“ — „მონპელიე“, „ლე მანი“ — „პსჟ“, „ლანსი“ — „ბასტია“, „მარსელი“ — „სტრასბური“, „ნანტი“ — „მეცი“, „ნიცა“ — „რენი“, „სოშო“ — „ლიონი“, „ტულუზა“ — „ბორდო“.

**ინგლისის პრემიერლიგაში** მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. „ბირმინგემმა“ 2-0 დაამარცხა „ბოლტონი“ და 42 ქულით მე-5 ადგილზე გადაინაცვლა.

დანარჩენ გუნდებს არ უთამაშიათ, რადგან სათასო დღე იყო. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 2-1 დაამარცხა „ფულემი“, ხოლო „არსენალმა“ სტუმრად მოუგო „პორტსმუტს“ (5-1). **დანარჩენი მატჩები:** „მილუოლი“ — „ტრანმერი“ 0-0, „სანდერლენდი“ — „შეფილდი“ 1-0.

**შოტლანდიის პრემიერლიგის** 27-ე ტურშიც ერთი მატჩი შედგა. „ჰართსმა“ ფრედ (1-1) დაასრულა სტუმრად გამართული მატჩი „კილმარნოკთან“. სამაგიეროდ, ფეხბურთის გულშემატკივრებმა ორი შოტლანდიური გრანდკლუბის სუპერმატჩით ისიამოვნეს, რომელიც თასის გათამაშების მეოთხედფინალს წარმოადგენდა. „სელტიკმა“ 1-0 სძლია შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსს“.

## ფატიჰ თერიმი „გალათასარაიდან“ წავიდა

უეფას თასის გათამაშებაზე „ვილიარეალთან“ დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა თურქეთის საფეხბურთო კლუბ „გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელი ფატიჰ თერიმი. ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიუხედავად, „გალათასარაის“ პრეზიდენტი ოზან კანაიდენი მადლიერია თერიმისა, რადგან ამ უკანასკნელმა ბევრი სარგებლობა მოუტანა თურქული ფეხბურთის გრანდს. თვით „იმპერატორად“ წოდებულმა ფატიჰ თერიმმა თავისი ნაბიჯი ასე ახსნა: „თუკი ვინმე შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ „გალათასარაის“ ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში, ასეთი ადამიანი მე გახლავართ“.

შეგახსენებთ, რომ თერიმის ხელმძღვანელობით „გალათასარაიმ“ 1996-2000 წლებში ოთხჯერ მოიპოვა თურქეთის ჩემპიონის ტიტული და ერთხელ – უეფას თასი.

## არსენ ვენგერმა შეგირდებს ალკოჰოლური სასმელი აუკრძალა



ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თავის მოთამაშეებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარება აუკრძალა. „ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ითამაშოს ფეხბურთი მოთამაშემ, რომელიც სპირტიან სასმელს ეტანება. თუ მაღალ დონეზე გსურს ფეხბურთის თამაში, საკუთარი ცხოვრება უნდა აკონტროლო“, — განაცხადა ვენგერმა.

## დონეცკში ახალ სტადიონს აშენებენ

დონეცკის საფეხბურთო კლუბ „შახტარის“ ხელმძღვანელობამ სპეციალური შეხვედრა მოაწყო გულშემატკივრებისათვის. ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ გუნდის მთავარი მწვრთნელი ბრენდ შუსტერი, აგრეთვე ყველა ფეხბურთელი.

საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ის, რომ „შახტარის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება დონეცკში ახალი სტადიონის მშენებლობის თაობაზე. ამ პროექტის განხორციელება 150 მილიონი დოლარი დაჯდება.

## კინი მხოლოდ ერთ მატჩს გამოტოვებს

ცნობილია, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „პორტუსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის, მოედნიდან გააძევეს ალექს ფერგიუსონის გუნდის კაპიტანი როი კინი. მას არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა მას შემდეგ, რაც ფეხი ჩაარტყა „პორტუს“ გოლკიპერს ვიტორ ბაიას.

უეფას სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, როი კინი მხოლოდ ერთ შეხვედრას გამოტოვებს, — 9 მარტს ვერ ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში იმავე „პორტოსთან“ განმეორებით მატჩში.

## ტრაგედია სალვადორში



სალვადორში, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩის დროს „ალიანსა“ და „სან-სალვადორს“ შორის ტრიბუნაზე მომხდარი აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცამდე გულშემატკივარი დაშავდა. გარდაცვლილი „ალიანსას“ ფანატთა ჯგუფის წევრი იყო. ის და მისი მეგობრები ხშირად იყენებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს ჩემპიონატის მატჩების დროს და ერთ-ერთი ასეთი „გართობა“ დამთავრდა ტრაგიკულად.

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

დღეს და ხვალ გაიმართება ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალური მატჩები, ხოლო 11 მარტს — უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრები. გაგაცნობთ მატჩების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტებთან ერთად:

| ჩემპიონთა ლიგა | | | |
|---|---|---|---|
| 9 მარტი | 1 | X | 2 |
| ჩელსი – შტუტგარტი | 1,53 | 3,40 | 5.50 |
| მანჩესტერი – პორტო | 1,50 | 3,40 | 6,00 |
| იუვენტუსი – დეპორტივო | 1,72 | 3,20 | 4,33 |
| ლიონი – სოსიედადი | 1,80 | 3,10 | 9.00 |
| 10 მარტი | | | |
| არსენალი – სელტა | 1,40 | 3,60 | 7,50 |
| მილანი – სპარტა | 1,28 | 4,33 | 8,50 |
| მონაკო – ლოკომოტივი | 1,50 | 3,40 | 6.00 |
| რეალი – ბაიერნი | 1,57 | 3,30 | 5,50 |

| უეფას თასი | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| ბორდო – ბრიუგე | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| გენჩლერბირლინგი – ვალენსია | 3,40 | 3,00 | 2,00 |
| ოსერი – პსვ | 1,90 | 3,20 | 3,50 |
| ნიუკასლი – მალიორკა | 1,61 | 3,30 | 5,00 |
| სელტიკი – ბარსელონა | 2,40 | 3,10 | 2,60 |
| ლივერპული – მარსელი | 1,61, | 3,30 | 5,00 |
| ბენფიკა – ინტერი | 2,50 | 2,90 | 2,62 |
| ვილიარეალი – რომა | 2,75 | 2,90 | 2,40 |

# ნბა



## ცქიტიშვილის „დენვერი" „ინდიანასთან" დამარცხდა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ინდიანასთნ" 94:103. გამარჯვებულთაგან მოედანზე საუკეთესო იყო ჯერმეინ ო'ნილი, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა, 10 ბურთი მოხსნა ფარიდან და 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კარმელო ენტონის ანგარიშზე კი 29 ქულაა.

წარუმატებლად ითამაშა ვლადიმერ სტეფანიას „პორტლენდმაც", რომელმაც სტუმრად წააგო „კლიპერსთან" 71:91. „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" კი შინ სძლია „ნიუჯერსს" 94:88.

**სხვა მატჩები:** „მინესოტა" — „ბოსტონი" 77:80, „სიეტლი" — „დეტროიტი" 65:86, „გოლდენ სტეიტი" — „მემფისი" 85:95.

## სტრიკლენდი „ტორონტოში" ითამაშებს

ნბა-ს კლუბ „ტორონტოსთან" მიმდინარე სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გააფორმა ვეტერანმა კალათბურთელმა როდ სტრიკლენდმა, რომელიც აქამდე „ორლანდოს" ღირსებას იცავდა. სტრიკლენდმა „ორლანდოს" შემადგენლობაში 46 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6,8 ქულას აგროვებდა თითო შეხვედრაში. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ კალათბურთელს ნბა-ს ისტორიაში მე-7 ადგილი უჭირავს შედეგიანი გადაცემების მხრივ. სულ სტრიკლენდის ანგარიშზე დღეისათვის 7889 შედეგიანი გადაცემაა.

## კრამნიკი — ლინარესში გამარჯვებული



ისევე, როგორც შარშან, ლინარესის წლევანდელი სუპერტურნირი ვლადიმირ კრამნიკის გამარჯვებით დასრულდა. ამ მოჭადრაკემ სულ რაღაც ნახევარ-ნახევარი ქულით გაუსწრო გარი კასპაროვს და პიტერ ლეკოს. ბოლო ტურში კრამნიკმა ტოპალოვი დაამარცხა, ხოლო კასპაროვმა და ლეკომ მოუგეს შესაბამისად ვალიეხოსა და შირერს.

## „ფერარის" დუბლი მელბურნში

ავსტრალიის „გრან-პრით" დაიწყო „ფორმულა-1"-ის წლევანდელი სეზონი. ბევრს ეგონა, რომ უშეღავათო ბრძოლა წარიმართებოდა შეჯიბრების მონაწილეთა შორის, მაგრამ... მიხაელ შუმახერი შეუდარებელი იყო. მან „გრან-პრი" იოლად მოიგო: დისტანციის 58 წრე ყველაზე სწრაფად — 1 საათში, 24 წუთსა და 15,75 წამში დაფარა. ფინიშთან მეორე მიიჭრა „ფერარიში" მიხაელის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო. სხვაობამ 14 წამი შეადგინა. პირველი ადგილის იოლად დაკავებას მიხაელ შუმახერი სწორედ ბარიკელოს უნდა უმადლოდეს. ეს უკანასკნელი „რენოს" პილოტს ფერნანდო ალონსოს არ უშვებდა წინ. საბოლოოდ ესპანელი მესამე ადგილზე გავიდა შედეგით: 1 საათი, 24 წუთი და 50,43 წამით.

მეოთხე ადგილი დაიკავა მიხაელ შუმახერის უმცროსმა ძმამ რალფმა, რომელიც „უილიამსის" ბოლიდის საჭეს მართავდა. მისი თანაგუნდელი ხუან პაბლო მონტოია კი ფინიშთან მეხუთე მიიჭრა. სეზონის სტარტი „მაკლარენმა", რომ იტყვიან, „ჩააგდო". შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი კიმი რაიკონენი პირველივე წრეზე შეფერხდა და მე-12 პოზიციაზე აღმოჩნდა, რის შემდეგაც სიჩქარეს უმატა, მაგრამ მეცხრე წრეზე მისი ბოლიდის ძრავას ცეცხლი მოეკიდა და რაიკონენმა ასპარეზობა შეწყვიტა.

მომდევნო ეტაპი გაიმართება 21 მარტს. „ფორმალა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი მალაიზიის „გრან-პრისთვის" იბრძოლებენ.




## 49 წლის ქალმა მარათონი მოიგო

ლოს-ანჯელესის მარათონში გაიმარჯვა 49 წლის რუსმა ტატიანა პოზდნიაკოვამ, რომელმაც 42 კილომეტრი და 192 მეტრი 2 საათში, 30 წუთსა და 16 წამში დაფარა. ეს იყო უკრაინელის ზედიზედ მეორე გამარჯვება ლოს-ანჯელესის მარათონში.

მეორე ადგილზე გავიდა რუსი ტატიანა ტიტოვა, ხოლო მესამეზე — ლიტველი ზივილე ბალჩუნაიტე. ვაჟთა შორის პირველი 8 ადგილი კენიელებმა დაისაკუთრეს. საუკეთესო იყო დევიდ კირუი — 2 საათი, 13 წუთი და 40 წამი. ფინიშთან მეორე მიიჭრა სიმონ უენგაი, ხოლო მესამე — მეტიუ ბიჰირი.

საინტერესოა, რომ გამოვლინდა აბსოლუტური გამარჯვებულიც. ძლიერი და სუსტი სქესის წარმომადგენელთა უფლებები რომ გაეთანაბრებინათ, მამაკაცებს რბენა ქალებზე 20 წუთითა და 30 წამით გვიან დააწყებინეს. აბსოლუტური გამარჯვებული სწორედ პოზდნიაკოვა გახდა.

## მესიეს უკანასკნელი სეზონი?

ნჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „პიტსბურგთან" მატჩის შემდეგ "რეინჯერსის" ფორვარდმა მარკ მესიემ განაცხადა, რომ მას აღარ აქვს სტიმული, გააგრძელოს საკუთარი კარიერა.

„მე ორი მიზეზის გამო ვაგრძელებდი თამაშს — ეს იყო გუნდში ჩემი მეგობრის ბრაიან ლიჩის ყოფნა და იმედი სტენლის თასის მოპოვებისა. თასს ვეღარ მოვიპოვებთ, ხოლო ბრაიანმაც დატოვა გუნდი. აბა, მე რაღა დამრჩენია?" — კითხულობს მარკ მესიე.

## რუსები ჰოკეის „დიდების დარბაზს" ქმნიან

გასულ შაბათს შესრულდა 50 წელი საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების სტოკჰოლმში 1954 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების მოპოვების შემდეგ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნება ჰოკეის „დიდების დარბაზი", რომლის პირველი ლაურეატები სწორედ მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის ოქროს მედალოსნები იქნებიან: ევგენი ბაბიჩი, ვსევოლოდ ბობროვი, მიხაილ ბიჩკოვი, ალექსანდრ ვინოგრადოვი, ალექსეი გურიშევი, პაველ ჟიბურტოვიჩი, ალექსანდრ კომაროვი, იური კრილოვი, ვალენტინ კუზინი, ალფრედ კუჩევსკი, გრიგორ მკრტიჩიანი, ნიკოლაი პუჩკოვი, ჰენრიხ სიდორენკოვი, ალექსანდრ უვაროვი, დმიტრი უკოლოვი, ნიკოლაი ხლისტოვი, ვიქტორ შუვალოვი, მწვრთნელები — არკადი ჩერნიშევი და ვლადიმირ ეგოროვი.

გარდა ამისა, „დარბაზის" წევრები გახდნენ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები: ვიტალი დავიდოვი, ვიქტორ კუზკინი, ალექსანდრ რაგულინი, ანატოლი ფირსოვი, ვლადისლავ ტრეტიაკი, ანდრეი ხომუტოვი, აგრეთვე, სხვადასხვა დროს, მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული საბჭოთა და რუსეთის ნაკრების კაპიტნები: ბორის მაიოროვი, ვიაჩესლავ სტარშინოვი, ბორის მიხაილოვი, ვალერი ვასილიევი, ვიაჩესლავ ფეტისოვი, ვიაჩესლავ ბიკოვი. მწვრთნელები: ანატოლი ტარასოვი, ბორის კალიაგინი, ვიქტორ ტიხონოვი, ნიკოლაი ეპშტეინი, ანატოლი კოსტრიუკოვი, სერგეი ზახვატოვი.

რუსული ჰოკეის „დიდების დარბაზი" განთავსდება სპორტული „ყინულის" სასახლეში, რომელიც მოსკოვში აიგება მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატისათვის.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**9 მარტი, სამშაბათი**

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.15). რუსთავი-2 ჩემპიონთა ლიგა „მანჩესტერი" — „პორტუ" (23.45), მიმოხილვა (2.00). **ევრიკა.** სპორტის სამყარო (19.00). **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (20.00). **იმედი.** „გოლი" (11.05, 13.30). ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის თასის მერვედფინალის პირველი მატჩი. „ალანია" — „შინიკი" (14.00). ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (16.15). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.25). „ფუტბოლ მუნდიალი" (18.25). განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (18.55). ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (21.25). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.25). ჩემპიონთა ლიგა: „ჩელსი" — „შტუტგარტი" (23.20, პირდაპირი ტრანსლაცია). მერვედფინალური მატჩი. „ლიონი" — „რეალ სოსიედადის" საპასუხო მატჩი (1.35). კალათბურთი, ნბა (4.00, 4.30). „მემფისი" — „სან ანტონიო". პირდაპირი ტრანსლაცია (5.00). „დიდი მატჩები" — 2003 წ. (8.00). ***НТВ плюс спорт.*** წყალში ხტომა. მსოფლიო თასი (12.05), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (15.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალის საპასუხო მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია „იუვენტუსი" — „დეპორტივო" (23.35). ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია (4.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (12.30, 17.00), უეფა-ს არქივი (13.30). კრივი. პროფესიონალები (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.15).

**10 მარტი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" — „ბაიერნი" (23.45), მიმოხილვა (2.00). **ევრიკა.** „სპორტის სამყარო" (19.00), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (14.50, 20.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალის პირველი რაუნდის საპასუხო მატჩები. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „პორტუ" (13.25), „ლიონი" — „რეალ სოსიედადი" (15.20), „ჩელსი" — შტუტგარტი" (18.55). „იუვენტუსი" — „დეპორტივო" (21.10). „რეალი" — „ბავარია" (23.20), „მილანი" — „ჩეხეთის „სპარტა" (1.35). კალათბურთი. ნბა. „ბოსტონ სელტიკსი" — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი". პირდაპირი ტრანსლაცია (4.00). ნბას-ს ლეგენდები (7.00), „დიდი მატჩები" — 1984 წ. (8.00). ***НТВ плюс спорт.*** ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (14.15), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩები (17.45, 4.00 — პირდაპირი ტრანსლაცია), სამთოსათხილამურო სპორტი. ვაჟები. სწრაფდაშვება (20.00). ქალები (22.35). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩი. „არსენალი" — ესპანეთის „სელტა" (23.35). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 15.30, 18.30, 20.00, 20.30). ფეხბურთი. ევროგოლები (14.30). საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (22.45), კრივი. პროფესიონალები (1.30), ევროსპორტის ახალი ამბები (4.15).

**11 მარტი, ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა. „რეალი" — „ბაიერნი" (15.15 — განმეორებით). ევრიკა. „სპორტის სამყარო" (19.00). **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (14.50), „ქართული ფეხბურთი" (20.00). **იმედი.** „ესტაფეტა" (21.30). ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. ბრაზილიის „სანპაულო" — ეკვადორის „კიტო" (13.25, 0.35). ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური საპასუხო მატჩები. „მონაკო" — რუსეთის „ლოკომოტივი" (15.10), „არსენალი" — „სელტა" (17.35). „რეალი" — „ბავარია" (20.55). „ფუტბოლ მუნდიალი" (20.00). კალათბურთი. ნბა. „დიდი მატჩები" — 2003. „ფილადელფია" — „ვაშინგტონი" (4.30). „საკრამენტო კინგსი" — „დალას მავერიოკისი". პირდაპირი ტრანსლაცია (7.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (11.35, 23.00). ჩოგბურთი. „ატრ"-ის მიმოხილვა (18.00). სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი. ვაჟები. სუპერგიგანტი (19.00). ქალები. სუპერგიგანტი (20.15), კალათბურთი. ნხლ-ის მატჩი (23.00), ახალი ამბები (1.15). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.00, 15.30, 17.00, 20.00). კრივი. პროფესიონალები (23.00). ფეხბურთი. უეფას თასი (1.15, 3.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.45, 4.45).

## ჩემპიონის ტიტული მეექვსედ დაიცვა

ვბო-ს ვერსიით მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონმა, არგენტინელმა ომარ ნარვაზმა ზედიზედ მეექვსედ წარმატებით დაიცვა ტიტული, ამჯერად ბრაზილიელ რეჯინარდო კარვალიესთან ბრძოლაში. ნარვაზმა მეტოქე უკვე მესამე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში.



## კროსვორდი №19

**თარაზულად:** 1. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 7. შეჯიბრებაში დაწინაურებული, 8. ჩოგბურთის მოედანი, 9. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 10. ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი, დიდიე... 14. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 15. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 16. ფორმულა-1-ის ცნობილი მრბოლი, 19. ველოსიპედის ეტლში შებმული ადამიანი, 20. ცხენებით, ველოსიპედებით, მანქანებით და ა.შ. შეჯიბრება, 23. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 24. საყაიმო შედეგი, 25. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 26. საფრანგეთის სარაგბო კლუბი.

**შვეულად:** 2. ნბა-ს („ატლანტა") მოთამაშე, 3. ცნობილი კორეელი ფეხბურთელი, 4. წარსულში ცნობლი ჩოგბურთელის ნასტასეს სახელი, 5. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, 6. შეჯიბრების საწყისი, 8. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 11. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 12. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 13. მოუხეშავი, ანუ... 17. ფორმულა-1-ის ცნობილი მრბოლი, 18. „ლიონში" მოთამაშე ცნობილი ფეხბურთელი, ფაბიან ... 21. ძვირფასი მინა, რომლისგანაც ძვირფას სპორტულ პრიზს ამზადებენ, 22. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი, 23. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი.

**მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ**

## №18 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 4. სპიცი, 6. ჩიპოლინი, 8. გრინი, 9. ბარსელონა, 10. კვოტა, 11. რეი, 13. აფენი, 14. კენია, 15. ჯოტია, 17. კალაძე, 21. კვაჭაძე, 22. ჩემპიონი, 23. ეტაპი.

**შვეულად:** 1. ფილადელფია, 2. ბოისა, 3. „ვისლა", 4. „სიენა", 5. ცერცვაძე, 7. ანატომია, 12. ანძა, 14. კარატე, 15. „ჯენოა", 16. ტოკიო, 17. კიჩო, 18. ლამა, 19. კაკა, 20. ტერი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. დაშკოვსკი
(1987წ.)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში (№18) გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. კf3!
1. ..... f4 2. g3 fg 3. კe4 g2 4. კd3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru